



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 22

„11“ აგვისტო 2014 წ.

ქ. თელავი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს
დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 30-ე მუხლის და თვითმმართველი თემი თელავის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის თანახმად:

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს დაფუძნება და ფრაქციის თავმჯდომარედ დეპუტატ ზაქარია გრიშკაშვილის არჩევა მიღებულ იქნეს ცნობად;
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი